№ 105
ოთხშაბათი, 17 მაისი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 105
ოთხშაბათი, 17 მაისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 22


## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება მუშტაიდის ბაღში, 28 და 29 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## ქ. ქუთაისში
## ექიმი გაბრ. იოს.
## გოკიელოვი

იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12ს., საღამ. 5—7 საათ.
ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთიშვილის სახლი, № 20.
(40—140—35)

მორიგი
## წლიური კრება
ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წევრთა
## დანიშნულია

21 მაისს, კვირას, დილის 10 საათზე, ს. კუხს, ამხანაგობის სამმართველოში. განსახილველია და დასამტკიცებელი წასული წლის ანგარიში და ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისათვის.

გამგე ამხანაგობისა ნ. წერეთელი

## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ქ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ქუთაისის ჭაკვავცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია ნ. ა. საბაკესა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში 1 ივნისიდგან გადატანილ იქმნება ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—10)


### მთავრობის განკარგულებანი

—

ხელმწიფე იმპერატორმა, უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის უქვეშევრდომილესის მოხსენების თანახმად, კეთილ-ინება და 28 აპრილს უბოძა ორდენი წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხისა იმერეთის ეპარქიის სოფ. ტბეთის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის მღვდელს ანტონ გონაძეს—50 წლის სამსახურისათვის.

### შემოწირულება

—

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

ეკატერინე თადეოზის ასულმა სტაროსელსკისამ—მთელი სერვიზი პირისაბანისა და ოთხი ფაიფურის ვაზა.

ანასტასია იოსების ასულმა გედევანიშვილისამ—ხელოვნურად ნაკერი საათის ბუდე.

კნ. სალომე მახეილის ასულმა რატიშვილისამ—ბრელოკი და შარფი.

თონეთის სკოლის მასწავლებელმა ლ. დ. აგლაძემ—48 კალათა ამ სკოლის მოსწავლეების გაკეთებული.

## ახალი ამბავი

—

⁂ გუშინ, 16 მარტს, სპარსეთის შაჰს მუზაფარ-ედდინს სადილი გაუმართეს სასახლეში, სადაც მიწვეულნი იყვნენ წარჩინებულნი მოხელენი. მისის უდიდებულესობის სადღეგრძელო დალია გენერალ-ადიუტანტმა დ. ს. არსენიევმა, რომლის შემდეგაც მუსიკამ სპარსეთის საერო საგალობელი დაუკრა. დიდმა ვეზირმა სადრაზანმა წარმოსთქვა მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო. ამ სადღეგრძელოს შემდეგ მუსიკამ რუსეთის საერო საგალობელი დაუკრა. ორსავე სადღეგრძელოს სადილზედ დამსწრენი ხანგრძლივის „ურა“-ს ძახილით მიეგებნენ. სადილი დაიწყო საღამოს ექვს ნახევარ საათზედ და გათავდა რვა-ნახევარ საათზედ.

საღამოს 9 საათზედ მისი უდიდებულესობა სპარსეთის შაჰი მიწვეულ იყო სახაზინო თეატრში, სადაც წარმოადგინეს პიესა „იზმაილი“. კარებში მის უდიდებულესობას თეატრის დირექცია მიეგება. თეატრში მისი უდიდებულესობა წარმოდგენის დასასრულამდე, შუაღამის თორმეტ საათამდე დარჩა და შემდეგ სასახლეში მიბრძანდა. გზაზედ, თეატრში წასვლისა და იქიდგან დაბრუნების დროს, მისს უდიდებულესობას მის სანახავად გამოსული, მრავლად თავ-მოყრილი ხალხი, „ურა“-ს ძახილით ეგებებოდა. მთელი თეატრი სავსე იყო საგანგებოდ მიწვეულ წარჩინებულ საზოგადოებით. მისის უდიდებულესობის თეატრიდგან გამოსვლას უიდძალი ხალხი ელოდა. ამ საღამოს მთელი ქალაქი, განსაკუთრებით-კი სასახლის წინ და თვით თეატრი, საუცხოოდ იყო გაჩირაღდნებული მისის უდიდებულესობის შაჰის მუზაფარ-ედდინის პატივსაცემლად.

⁂ მისი უდიდებულესობა სპარსეთის შაჰი ტფილისიდგან ხვალ, 18 მაისს, წაბრძანდება. ამ დღეს, დილის 6 საათზედ, სასახლეში სპარსეთის

## ფელეტონი

—

### ყაბარდოელების გარდმოცემა *)

ვინ არ იცნობდა ყაბარდოში თავად ჯან-კლიჩ ულადაის? სიმდიდრით მხოლოდ ირანის მზე (ყაენი) შეედრებოდა და მონები-კი იმდენი ჰყავდა, რამდენიც ვარსკვლავია ცაში!.. ულადაი ახოვანი იყო, ძლიერი, ამაყი თავისს ჩამომავლობით: არც ერთი იმის მამა-პაპათაგანი არ მომკვდარიყო ლოგინში. ულადაის არა აკლდა-რა: თითქო ყველაფრით ბედნიერი იყო, მაგრამ ბოლოს დროს რაღაც დუმილში ჩავარდა. წარბები შეეჭმუხვნა... ყაბარდოელების გმირს აღარდებდა თავისი ასული—მშვენიერი შექიურხანუმი, რომელსაც ღირსეული საქმრო არა ჰყავდა.

ერთხელ ულადაიმ მიიწვია თავისი მორჩილი უზდენები (აზნაურები) და უთხრა:

— გამოაცხადეთ ყველგან, დარუბანდიდგან ანაპამდე, რომ ჩემ სიძედ იქნება მხოლოდ ის, რომელსაც იმისთანა ვაჟკაცობა ჩაუდენია, რომ მისი მსგავსი ჯერ არ გაგონილიყოს მთებშიო.

ულადაის სიტყვები მეხის გრგვინვასავით მოედო ძთა-ველს. ძთელის ყაბარდოს ჭაბუკნი, ვისაც-კი ეხახა, ან გაეგონა შექიურ-ხანუმი, ფეხზედ დადგა. ყველა სცდილობდა იმისთანა ვაჟკაცობა ჩაედინა, რომ ჯერ არსად გაგონილიყოს, და ამითი მოეგო გული ულადაის მშვენიერის ასულისა...

გავიდა რამდენიმე თვე. ერთ დღეს ულადაის ეზოში შემოაგდო ცხენი ერთმა თავიდგან ფეხებამდე ჯაჭვ-ჯავშანში ჩამჯდარმა ჭაბუკმა. როგორც ჩვეულება მოითხოვდა, ულადაის უზდენებმა ღირსეულად მიიღეს სტუმარი, ცხენი და იარაღი ჩამოართვეს და სასტუმრო ოთახში შეიყვანეს.

— სელიამ-ალეიქუმ! მიესალმა სტუმარი მასპინძელ თავადს, თავი დაუკრა და მარჯვენა ხელი გულზედ მიიდო.

— ალეიქუმ სელიამ! მიესალმა თავის მხრივ ამაყი ულადაი.

— მე გახლავარ ჯამბულატოვი, გაეცნაურა ახლად მოსული ჭაბუკი.

— კეთილი იყოს შენი მოსვლა! სახელი შენი გამიგონია და ამასთან ვაჟკაცობაც. დაბრძანდი...

— ყველამ იცის, დაიწყო ჭაბუკმა, როგორს სიძესაც ეძებ. შენ იცნობდი მამა ჩემს: დაღუბანდიდგან ანაპამდე იმაზე მამაცი, ძალოვანი და ახოვანი კაცი არ იყო. როცა წამოდგებოდა ხოლმე ფეხზედ, მთვარესა სწვდებოდა მისი ქოჩორი!

— მართალია, უპასუხა ულადაიმ, დიდი იყო მამა შენი; მეც მიხახავს და მოხუცნიც ამტკიცებენ, მაგრამ, როდესაც მამაჩემი წამოდგებოდა ფეხზედ, მამა შენი ლაჯებ შუა გაუვლიდა...

— მეიძლება... გააწყვეტინა სტუმარმა: დავანებოთ თავი მაგას... უმჯობესია, ისევ ჩემი საქმეები გითხრათ. ხუთის ათასის კაცით გავიარე მდინარე დონამდე; ავაოხრე ურუსების სოფლები, ხუთი ათასი ცხენი გადმოვრეკე. იხები საჩუქრად ქალის ნაცვლად. მე იმისთანა საქმე ჩავიდინე, რომლის მსგავსი ჯერ არავის არ ჩაუდენია დარუბანდიდგან ანაპამდის.

— კარგი საქმე ჩაგიდენია, მაგრამ ქუნჩუკმა შენზედ მეტი ვაჟკაცობა გამოიჩინა. ასის მეომარით მან ანაპა ცეცხლს მისცა, ფაშა მოჰკლა, განათავისუფლა თავისი დანიშნული და სახლში დაბრუნდა. სტუმარი იყავ ჩემი და სიძედ მიღებას-კი ვერ დაგპირდები.

მეორე დღეს მოაგდო ცხენი შექიურხანუმის ხელის ახალმა მაძიებელმა.

— ამხანაგოდ, მარტოდ მარტომ გადავცურე თერგი, დაიწყო მოსულმა: ღამე, დარაჯების შეუმჩნევლად, შევედი მტრის სადგურში; ხმლით ავკუწე ოცი მძინარე კაცი, მარჯვენა ხელები დავაჭერი, სადგურს ცეცხლი წავუკიდე და იმ არეულობაში დაუშავებელი გამოვედი... აჰა, ის ოცი მარჯვენა, დათვალე... იმისთანა საქმე ჩავიდინე, რომლის მსგავსიც ჯერ არ გაგონილა მთაში. მომეცი ასული.

— დავინახე, როგორც ეკიდებოდა იმათ სადგურს ცეცხლი, უპასუხა ულადაიმ, მაგრამ ხევსურმა ანთამ შენზედ ბევრად მეტი საქმე ჩაიდინა: თავისს მამის სისხლის საძიებლად მივიდა ხევსური ქისტების სოფელში მარტოდ-მარტო, შუა დღისას. შევიდა მამასახლისის სახლში და როდესაც ქისტმა ჰკითხა, რისთვის მოხვედი, რა გინდაო? უპასუხა: შენი თავი, მამიჩემის სისხლს ვეძიებო!.. ამის გაგონებაზედ ქისტმა გადიხარხარა, მაგრამ ანთამ ხანჯლის ერთის მოქნევით მოაგდებინა მამასახლისს თავი, შეიხვია ჩოხის კალთაში, გამოვარდა გარედ, გაიარა მთელი ქისტების სოფელი: ვინც წინ უხდებოდა, სიცოცხლეს უსპობდა, მოჰკლა ოცდაათი კაცი, მთად გავარდა და რამდენსამე ალაგას მძიმედ დაჭრილმა, სისხლისაგან დალეულმა მაინც მიაღწია თავისს სახლის კერას და მიიტანა თავი თავისის მამის მკვლელისა!.. იყავ ჩემი სტუმარი, მაგრამ ქალს ვერ მოგათხოვებ.

ბევრი თავ-მომწონე ჭაბუკი მიდიოდა ჯან-კლიჩ ულადაისთან და ამბობდა თავის მიერ ჩადენილ საგმირო საქმეებს, მაგრამ არავინ არ გამოჩნდა მათ შორის მშვენიერ შექიურ-ხანუმის ღირსი. ერთხელ ჯანკლიჩმა გაჰგზავნა სამტაცებლოდ თერგის გაღმა ყველა თავისს უზდენები და ნუკერები (მოჯამაგირეები) და მარტო თითონ დარჩა სახლში. სასტუმრო ოთახის კარები უცბად გაიღო, ულადაიმ მიიხედა და წინ ჭაბუკი ედგა.

— კეთილი იყოს შენი მოსვლა! რა გნებავს?—ჰკითხა თავადმა უცნობს.

— შენის ქალის სათხოვნელად მოვედი, დინჯად უპასუხა მოსულმა.

— ოჰო, რა ყოჩაღი ჰყოფილხარ!.. შენ იცი, რომ მთელის ქვეყნის ასამდე განთქმული ვაჟკაცი ეძიებდა იმის თხოვნას, მაგრამ ყველას გაუცროვ-

*) ეს გარდმოცემა დუბროვინსა აქვს მოთავსებული თავისს „Исторія войны на Кавказѣ“-ში.

შაჰს წარუდგებიან სამოქალაქო და სამხედრო მოხელენი. $6^1/_2$ საათზედ შაჰი რკინის გზის სადგურზედ წაბრძანდება და მცხეთამდე რკინის გზით ჩავა. მცხეთიდგან მისი უდიდებულესობა საქართველოს სამხედრო გზით კავკავში წავა, ხოლო იქიდგან რკინის გზითვე როსტოვსა, ხარკოვსა და შემდეგ ბრესტსა და ვარშავაზედ საზღვარ-გარედ. როსტოვსა და ხარკოვში მისი უდიდებულესობა თითო დღეს დაჰყოფს.

*** დღეს, 17 მაისს, ტფილისში გზათა მინისტრს თავ. ხილკოვს მოელიან.

*** დღეს, 17 მაისს, საღამოს 9 საათზედ, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების სადგომში კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების წევრთა წლიური კრება დანიშნული. კრებაზედ განხილულ იქნება საზოგადოების მოქმედების ანგარიში და ი. ს. ალხაზიშვილის რეფერატი: „საქართველოს ფარმაციისა და მკურნალობის ისტორია“. კრებას არა-წევრთაც შეუძლიათ დაესწრნენ. ბ-ნ ალხაზიშვილის რეფერატს დაწვრილებით შემდეგ გავაცნობთ ჩვენ მკითხველებს.

*** ამ ცოტა ხანში კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოში შეუდგებიან ქუთაისის გუბერნიაში მიწის ვალობაზედ დადებულ გარდასახადის გაწერას იმათზედ, ვინც საკომლო გარდასახადს არ იხდის.

*** 14 მაისს პეტერბურგიდგან ტფილისს დაბრუნდა კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი.

*** ზაქათალის ოლქის ადმინისტრაციამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ოლქში სამი საეტაპო სადგომი იქმნას აგებული კავკასიის სეროობო ხარჯით. პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შეუდგენიათ და წარუდგენიათ უმაღლეს მთავრობისათვის დასამტკიცებლად.

*** 12 მაისს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე თუშურიანცისა, რომელსაც „კახეთის“ მევენახეთა საზოგადოება იმ ბრალსა სდებდა, რომ ბოთლის ეტიკეტები იმ სახისა შეეკვეთნა, როგორიც „კახეთის“ საზოგადოების ბოთლებს აკრავს და ამ სახიანის ეტიკეტებით ჰყიდდა ღვინოს ხალხის საცთუნებლად, ვითომდა „კახეთის“ ღვინოსა ვყიდიო. ტფილისის ოლქის სასამართლომ თუშურიანცს სამის კვირით დაპატიმრება გარდაუწყვიტა.

*** ამ წლის პირველს სამს თვეს ბათუმიდგან და ფოთიდგან შავი ქვა გაუტანიათ 6.369,320 ფუთი, სულ 1.434,698 მანეთისა.

*** როგორც „ცნ. ფურ.“-ს შეუტყვია, ქვემო-მაჩხაანის სამების ეკკლესიასთან აზრადა აქვთ დააარსონ წიგნთსაცავ-სამკითხველო. პროექტი უკვე წარუდგენიათ მთავრობისათვის დასამტკიცებლად.

*** გუშინ „ცნ. ფურ.“-გან გადმობეჭდილი გვქონდა ამბავი ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ავადმყოფობის შესახებ. ახლა როგორც შევიტყეთ, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე კარგად არის თურმე. იგი ამას წინად ყოფილა უქეიფოდ და ეს რამდენიმე დღეა სრულიად განკურნებულა.

*** დავით გარესჯის უდაბნოს წინამძღვრად, უწმიდესის სინოდის განკარგულებით, დანიშნულ იქმნა ათონის იოანნე ღვთის-მეტყველის სავანის წინამძღვარი მღვდელ-მონაზონი ბენედიქტე, რომელიც ამ ორ-სამ დღეში ხელდასხმულ იქმნება იგუმნად.

## წერილი ყარსიდგან

ყარსის მცხოვრებთა ერთად-ერთს სიკეთეს შეადგენდა სანოვაგის სიიაფე, გ. ი. ხორცისა, ერბოსი, ქათმისა, კვერცხისა და სხ., რომელსაც ყარსის გარშემო მდებარე სოფელ-დაბების მცხოვრებნი უხვად აწვდიდნენ ქალაქის მცხოვრებთ. მაგრამ, საუბედუროდ, ჯერ საქონლის ჭირმა (1898—1899 წწ.) და შემდეგ წარსულის წლის უბადახობამ ამ ოლქის მცხოვრებთ დიდი ზარალი მიაყენა და თითქმის მთლად გამოაცალა ხელიდგან მათი ნუგეში და სიმდიდრე—საქონელი. დადიოდნენ სოფლელები და დაცლოდნენ ჩვენც. შიმშილისაგან საქონელი მეტად შეწუხდა; ბევრი დაიხოცა და რაც გადარჩა, იმის იმედიც არ არის, რადგან აქ ბზე და თივა აღარავის აქვს და ახალი ბალახი ჯერ კიდევ არსად სჩანს. ხვნა-თესვა გაძნელდა საქონლის უილაჯობისა გამო და აი აწინდელი ხვნა სწორედ ცოდვის ხილვად გარდაიქცა. დილით შავბნელ შიმშილისა და სიგამხდრისა გამო სინსილა გამოღეულს საქონელს და შუადღემდის რის ვაი-ვაგლახით რამდენსამე კვალს მიდევს გააყოლებენ ხოლმე, შუადღის შემდეგ ისე სუსტდება პირუტყვი, რომ ფეხის გადადგმის ილაჯი აღარა აქვს და ბევრი იქავე ეცემა მიწაზედ.

ყარსელი ყასბები თავს არ იწუხებენ, რომ ქალაქიდგან გარედ ფეხი გადგან და სხვა მხრიდგან მოიყვანონ ხეირიანი საკლავი საქონელი, რადგანაც უსაშველობისა გამო დაცვენილს საქონელს თვით პატრონები მოუყვებიან ყარსში გასასყიდად და ჩვენი ყასბები ნაკლებ ფასად აქვე ჰყიდულობენ. აპრილში ისე გაძნელდა საქმე, რომ რამდენისამე კვირის განმავლობაში ხორცი არ იშოვებოდა მთელს ქალაქში. ამ გარემოებას ბ-ნმა პოლიცმეისტერმა ყურადღება მიაქცია და მალე მიიღო შესაფერი ღონისძიება, რომელსაც უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ახლა თუმცა დაგრძელიანი ძროხისა და კამეჩის ხორცი იშოვება ყოველთვის, მაგრამ ცხვრისასკი სანთლით უნდა ეძებნა; რაც შეეხება ბატკანს, ვეღარ კითხვა, რადგანაც სანატრელად გარდაიქცა.

რკინის გზა უხვად გვაწვდის ტფილისიდგან მწვანილს; თუმცა მამა-სისხლად იყიდება, მაგრამ რა ვუყოთ! ესეა აქაური კაჭრების ჩვეულება—ერთი სამად და ოთხად ჰყიდიან. სააღდგომოდ გირკანქა მწვანილი სამ შაურად იყიდებოდა და თვის ბოლოკი—კონა 15—20 კაპ. დიდ შაბათს მარტო ერთმა ბაყალმა 26 ფუთი მწვანილი გაჰყიდა და მაინც კიდევ შემოაკლდა. ახლა მწვანილი გირკანქა 6—7 კაპ. ჰფასობს და ბოლოკი-კი კონა 8—10 კაპ.

18 აპრილს ყარსის ოლქის ერთ სოფელში ფრიად შემზარავი ამბავი მოხდა. ს. დაღ-ოღლის ეკკლესიის მნათე გიორგი კრიტარიკი ამავე სოფლის გვერდზედ, ასე 2 ვერსის მანძილზედ, მიწასა ჰხნავდა. საღამო ხანს მასთან მივიდა თურმე ერთი უცნობი კაცი, ნაბადში გახვეული და თავზედ ყაბალახ-მოხვეული, და სთხოვა: „მე ახლა ძალიან მეჩქარება და თუ ხელს გამიმართავ, ჩემს მიწას ძალიან იაფად მოგაქირავებ, რომელიც აი აქვე ახლოსა. თუ დამეთანხმები, წავიდეთ და ეხლავე გაჩვენებო.“ გიორგი თურმე დასთანხმდა ამ კაცს და თავისს შვილს უთხრა: „შენ საქონელი გარეკე შინ; მიწას დავათვალიერებ და მალე მოვალო. გიორგი მაშინვე გაჰყვა იმ კაცს მიწის დასათვალიერებლად და მისმა შვილმა კიდევ საქონელი წაასხა შინ. იმ ღამეს გიორგის ცოლშვილი თურმე ყოველს წამს ელოდდა იმის დაბრუნებას, მაგრამ გიორგი კი არსადა სჩანდა. მეორე დღეს დილითვე შეატყობინეს სოფლის მოხელეებს ეს საეჭვო ამბავი და დაუწყეს ძებნა იმ ადგილის გარშემო სადაც გიორგი ჰხნავდა. შეატყობინეს მაშინვე ახლოვე სოღანლუღის ნაწილის უფროსს. სამი დღის ძებნამ ამაოდ ჩაიარა და ვერავითარი კვალი ვერ ნახეს. მეოთხე დღეს წავიდა სოღანლუღის ნაწილის უფროსი ხალხით გიორგის საძებნელად და სადაც გიორგი ხნავდა, იმის ახლო წააწყდნენ გიორგის უსულო გვამს. მისი დანახვა კაცს შეაზარავდა, რადგანაც შეუბრალებლად იყო დასახიჩრებული: ცხვირი, ყურები, ფეხები და ხელები დაჭრილი ჰქონდა, თვალები ამოთხრილი და თავი გაჩეჩქვილი. არც ერთი მოჭრილი ნაწილი და სისხლი იქ არსად სჩანდა. ნაწილის უფროსი მაშინვე შეუდგა დამნაშავეთა ძებნას. სხვათა შორის მივიდა იქვე ახლო მდებარე თათრის სოფ. კარდახლიში და ბევრის ძებნის შემდეგ ერთ თათრის სახლში ნახა საეჭვო სისხლი და სხვა საეჭვო ნიშნები. სახლის პატრონი შეიპყრეს და გამოძიება სწარმოებს.

როგორც ხმები დადის და საქმიდგანაც სჩანს, განსვენებული მაშინვე კი არ მოუკლავთ, მან წაუყვანიათ მალად; ჯერ ცოცხალი უწვალებიათ და შემდეგ თავი გაუჩეჩქვიათ. სჩანს აგრეთვე, რომ ის კაცი, განც გიორგი წაიყვანა, არც გიორგის ნაცნობი ყოფილა და არც ახლო-მახლო სოფლელი. სახე ავაზაკისა ვერავის ვერ უცვნია, რადგანაც შეხვეული ჰქონდა ყაბალახით და ზევიდგანაც ნაბადი ესხათ.

ამავე ახლო ხანებში ყარსისავე ერთ სხვა სოფელშიაც მოხდა სხვა ამ გვარი ამბავი: ხოროსნის ნაწილის ს. კაზილ-კილისში, სხვათა შორის, თურმე ყოველ დღე დადიოდა ერთი გლახა მოწყალების სათხოვნელად (ყარსის ოლქში ძალიან მრავალია მცხოვრები, რომელნიც სულ თავიდგან გამოქცეული სომხები არიან). ეს გლახა თურმე ყოველ დღე ჩამოუვლიდა მთელს სოფელს. ჩვეულებისამებრ მასულა ერთის ბერძნის სახლში მოწყალების სათხოვნელად; რადგანაც დიასახლისს საქმე ჰქონია ხელში, ვერ მოუცლია, მოწყალება მიეცა გლახისთვის. უარის შემდეგ გლახა ბუტ ბუტით გაბრუნებულა გაჯავრებული. რამდენისამე ხნის შემდეგ დიასახლისს მოუცლია და უმაწვილის მისახედავად შესულა, რომელიც აკვანით მდგარა სახლში. გადახსნია პირზედ და რა დაუნახავს: ყელ გამოჭრილი ბავშვი!!

ამ მხეცურს ავაზაკობის ჩადენას იმ გლახას აბრალებენ, რომელიც უკვე შეიპყრეს თურმე და გამოძიებაც სწარმოებს.

ალ. ვარდიაშვილი

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

რაც დღე გადის, ინგლისური გაზეთები თანდათან უფრო ავრცელებენ ხმებს,

---

და იმედი?

— ვიცი და დავცინი კიდეც იმათ!.. მე-კი ჩემსას გავიტან.

— ბარაქალლა!.. რითი გაგითქვამს ისე სახელი, რომ ყველა სხვაზედ ბედნიერი იყო?

— ჯერ არაფრით, მაგრამ გავითქვამ...

— როდესაც გაითქვამ, მაშინ მოდი.

— ნუ მაგდებ... დაინახავ, რომ გავითქვამ, მაგრამ ჯერ შენ მითხარი: შენ თითონ-კი მამაცი და ძლოვანი ხარ?

— მადლობა ალლაჰს, თამამად უპასუხა ულადაიმ, ჩვენ საგვარეულოში ჯერ არავინ გამოსულა მშიშარა, და ჯან-კლიჩისა-კი ეშინიან ყველას ანაპიდგან დარუბანდამდე! ძლოვანი ხარ? აი ჩემის პაპის მუზარად-ჯაჭვ-ჯავშანი, აიღე, თუ შეგიძლიან! მე-კი ვატარებ ხოლმე...

— კარგი, მამაცი და ძლოვანი ხარ... ვერც შენ და ვერც შენი მამა-პაპათაგანი ჯერ არას დროს არავის არ დაუმარცხებია?

— არც იქნება ვინმე იმისთანა ბედნიერი! უპასუხა თავ-მოწონებით ჯან-კლიჩმა.

— მართლა?

უცნობი ჭაბუკი უცბად მივარდა თავადს და ამოღებული ხანჯალი მიაყენა გულის პირს.

— ჯან-კლიჩო, უთხრა რიხიანად ჭაბუკმა, წინააღმდეგობა უბრალოა, შენ ერთი ხარ და მე-კი აიხედე ჭერში: თორმეტს ჩემს მოსამსახურეს თოფით ნიშანში ყევხარ ამოღებული..

აიხედა ულადაიმ და მართლაც დაინახა თავისკენ მომიზნებული თორმეტის თოფის პირი.

— მე შემიძლია ის ჩავიდინო, განაგრძო თავხედმა ჭაბუკმა, რაც არასოდეს არავის ჯერ არ ჩაუდენია: შემიძლიან მოვკლა ერთი ულადაითაგანი. გინდა აღვასრულო?

— არა, არ მინდა.

— ეხლა, თანახმა ხარ, რომ შემიძლიან ჩავიდინო ის, რაც ჯერ არავის არ ჩაუდენია?

— თანახმა ვარ.

— მაშ მე ის პირობა ავასრულე, რომლითაც შემიძლიან შენის ასულის შერთვა.

— შეასრულე და მეც შევასრულებ ჩემს სიტყვას, მაგრამ ეს კიდევ საკმარისი არ არის ჯერ.

— რაღა არის კიდევ?

— თუ გსურს ჩემის ქალის ქმრობა, უნდა შეასრულო კიდევ ის, რასაც თვით ჩემი ქალი მოგთხოვს.

— როგორ? მაგის შესახებ არაფერი იყო გამოცხადებული.

— არა, უკაცრავად: ეს პირობა ჩაწერილია ეფენდი სულეიმანის კორანში.

რა გაეწყობოდა; ჭაბუკი და ულადაი წავიდნენ ქალთან. მშვენიერი შექიურ-ხანუმი იჯდა მუთაქა-ბალიშებზედ თავისს ოთახში. იმისს გარს ისხდნენ მოხუცებული დედაკაცები. ქალმა ალერსიანად მიიღო ახალგაზრდა და ლამაზი საქმრო.

— ჩემი პირობა ძალიან მარტივია, ტკბილად მიუბრუნდა ხანუმი და ალერსიანის ღიმილით შეჰხედა ჭაბუკს.

— რაც უნდა ძნელი საქმე დამავალოთ, მზადა ვარ ავასრულო, თუნდ თავის შეწირვაც რომ მომინდეს, აღტაცებით უპასუხა ჭაბუკმა.

— სულ უბრალო საქმეა, სთქვა ქალმა: თუ ვერ დაასახელებ და გააკეთებ ამ საქმეს და ვერ გამოიცნობ ჩემ მიერ დანიშნულს, რომელიც ამ სამმა მოხუცმა დედაკაცმა იცის, ვერ შეგირთავ.

— ბატონი ბძანდებით, ნამაზი...

— ერთი!.. დაიძახეს დედაკაცებმა და ნახშირით ჩამოუსვეს კედლებზედ ერთი ხაზი.

— გამარჯვება.

— ორი!..

— მეზობელს გომურიდგან ცხენს მოვპარავ.

— სამი!..

რამდენი რამ არ დაასახელა ჭაბუკმა, მაგრამ მაინც ვერ გამოიცნო ის უბრალო საქმე.

— წადი და იფიქრე, ალერსიანად უთხრა ულადაის ასულმა, თორემ შენც ჩქარა დაჰკარგავ ჩემის შერთვის უფლებას ისე, როგორც სხვებმა დაჰკარგეს.

დაღონებული გამოვიდა ჭაბუკი ქალის სახლიდგან. ადვილად მოსალოდნელი იყო, ჩქარა დაბრუნებულიყვნენ ულადაის უზდენები და მაშინ, რასაკვირველია, ვერ გადარჩებოდა სიკვდილს.

აჩქარებული საქმრო ისევ შევიდა ქალის ოთახში, ასახელა სულ უბრალო საქმეები, მაგრამ ამაოდ. რაც დრო გადიოდა, მისი მდგომარეობა უფრო და უფრო გასაჭირი ხდებოდა. როგორც ცოფიანი, გამოვარდა ოთახიდგან: ცეცხლი მოედო თავზედ გულზედ ცივმა ოფლმა დაასხა, მთელი ტანი აუკანკალდა. აჰა, გამოჩნდნენ კიდეც შორს შავად ჯანკლიჩის უზდენები.

— დავიღუპენით მე და ჩემი მამაცი ამხანაგები! წამოიძახა სასოწარკვეთილმა ჭაბუკმა: მაშ, დეე მოკვდეს ისიც, რომლის მიზეზითაც ვიღუპებით! თუ ჩემი არ იქნა, ნურც სხვისა იქნება!.. ამ სიტყვებით გაქანდა ხანჯალ ამოღებული ქალის ოთახისაკენ, მაგრამ ამ დროს კუთხიდგან გამოჩნდა ერთი დედაკაცთაგანი. ვერ შეინახა ამ დედაკაცმა საიდუმლო მიიხმო თავისთან ჭაბუკი და წასჩურჩულა ყურში თითონ-კი საჩქაროდ მიიმალა.

შევარდა ჭაბუკი ტურფას ოთახში და აღელვებისაგან ვერც ერთის სიტყვის წარმოთქმა ვერ მოახერხა, მაგრამ ხელით ანიშნა ხანჯლის წვერი და ცხვრის ტყავი, რომლითაც იჭერენ გულის მკერდს საზოგადოდ ჩერქეზ ყაბარდოელების ქალები.

— შენი ვარ!.. სიხარულით წამოიძახა თავადის ქალმა და გაუშვირა ორივე ხელი. ანთებული ჭაბუკიც მივარდა და თავდავიწყებული ჩაეკონა თავისს საყვარელს.

— ფრთხილად იყავ, ხანჯლის წვერი არ მოსდო ტანს პირველ ღამესა, ღიმილით შენიშნა ჭაბუკს ულადაიმ. *).

ივ. ბ—ლი

*) ჩერქეზებისა და ყაბარდოელების ქალები, ვიდრე გათხოვდებიან, ცხვრის ტყავით მაგრად იჭერენ გულის მკერდს (კარსეტსავით), რაიცა ნიშანია ქალწულობისა. ქორწინების პირველ ღამეს ქმარმა უნდა გაუპრას ტყავი ხანჯლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შვიდი თვის ბრძოლამ ბურები ისე მოჰქანცა, რომ ამ ბოლოს დროს სულითაც დაეცნენო. თუ ამ გაზეთებს დაუჯერეთ, ბურები მზად არიან იარაღი დაჰყარონ და სრული მორჩილება განაცხადონ. „Daily Express"-ი ამტკიცებს, მაგალითად, ვითომც ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროში ეყვეს პრეზიდენტ კრიუგერის მიერ ლორდ სალისბიურის სახელობაზედ გაგზავნილი დეპეშა, რომელშიაც ის დიდის მოკრძალებით თხოულობდეს ომის შეწყვეტას. აგრეთვე „Times"-იც ამტკიცებს, რომ ბურები სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ, რასაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ მრავალი დიდი და პატარა რაზმები იარაღს იხსნიან, მორჩილებას გვიცხადებენ და თავიანთ ფერმებში ბრუნდებიანო. მცირე წინააღმდეგობა, რომელიც ბურებმა გაუწიეს ინგლისელებს კრონშტადტსა და მეფეკინგთან და აგრეთვე ნატალის დაცლა, უფრო მეტს საბუთს აძლევს ინგლისის გაზეთებს იფიქრონ, რომ ბურებს, რომელნიც ისე თავგანწირულად იბრძოდნენ მდინარე ტუგელთან, სპიონსკოპთან, მადერსფონტენთან და სხ., მართლაც არაქათი გამოელიათ და ომის გაგრძელების თავი არ აქვსთ. ზოგიერთი გერმანული გაზეთებიც იმ აზრისა არიან, რომ ბურები მოჰქანცა ომმა და იარაღის დაყრას აპირებენო. მაგალითად, „Berliner Tageblatt"-ი ამბობს, რომ ტრანსვაალში თანდათან რწმუნდებიან, რომ ომის გაგრძელება აღარავითარ სარგებლობას არ მოუტანსო. მაგრამ, იმავე გაზეთის სიტყვით, კრიუგერი მაინც იმ აზრისაა, რომ ბურებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიონ ინგლისელებს, რადგან ჰსურს ომი ბურების სამარცხვინოდ არ გათავდეს. მრავალი ბური-კი, როგორც გაზეთი ამბობს, დარწმუნებულია, რომ ახალი სისხლის დვრა ზედ მეტი და უსარგებლო იქნებაო. დაიცვან თუ არა პრეტორია მტრისაგან, ეს ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ ბურებს. რადგან ლიდენბურგის გარშემო ადგილები ჯერ გამაგრებული არ არისო, —ამბობს „Berliner Tageblatt"-ი, —ბევრნი იმ აზრისანი არიან, რომ ის ხმები, ვითომც ტრანსვაალის მთავრობას განეზრახოს ლიდენბურგში გადასვლა, იმ აზრით არის გავრცელებული, რათა ლორდი რობერტსი პრეტორიაში შეიტყუილონო.

— კაპშტადში პეტიცია შეუდგენიათ, რომელზედაც დიდძალ ხალხს მოუწერია ხელი. პეტიციაში სწერია:

„ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, მცხოვრებნი კაპის ახალშენში, გთხოვთ დიდ ბრიტანიისა და ირლანდიის მცხოვრებთ მოგვისმინონ.

„ჩვენ აქ ვაღიარებთ ჩვენს გულწრფელ რწმენას, რაშიაც, როგორც დარწმუნებული ვართ, სამხრეთ აფრიკის თეთრ-კანიან მცხოვრებთა უმეტესობასაც დაგვეთანხმება. ესლანდელი ომის ნამდვილი მიზეზი თქვენ არ იცით და თქვენ შეგაცდინეს ტყუილის ხმებით.

„თქვენ გარწმუნებდნენ, რომ ბურები არ იბრძოლებენ, რომ ისინი მშიშრები არიანო. საქმემ დაგიმტკიცათ, რომ თქვენ მოგატყუილეს. თქვენ გითხრეს, რომ ბურები მხეცები არიან და კაცობრიული გრძნობის არა გაეგებათ-რაო. საქმემ ამის წინააღმდეგი დაამტკიცა.

„ჩვენ, გთხოვთ, იქონიოთ მხედველობაში ის, რაც თქვენ თითონ ნახეთ. საქმის ვითარებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ბურებს კიდევაც რომ სძლიოთ, იმათ დამორჩილებას ვერ შესძლებს. ბურები არაოდეს არ დასთანხმდებიან ინგლისის ქვეშევრდომი გახდნენ. სიცოცხლე, ანუ სიკვდილი! — აი იმათი დევიზი. ისინი იბრძვიან, რამდენადაც კი შეუძლიან კაცს ბრძოლა თავის კერას დასაცველად, და დარწმუნებული არიან, რომ ჩვენ მართალი ვართ და ღმერთი არ დაგვიკარგავს თავისუფლებასო.

„რაც შეგვეხება ჩვენ, რომელნიც ვფიქრობთ, რომ, თუ რესპუბლიკებს თავისუფლება მოესპოთ, სამხრეთი აფრიკა მუდროებას მოკლებული იქნება, — მზათა ვართ ვილვაწოთ შეუსვენებლად და არავითარი კანონიერი და სამართლიანი ღონისძიება არ დავიშუროთ, რათა სამხრეთ აფრიკაში დაცულ იქმნას მშვიდობიანობა და თავისუფლება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ საქმის შესახებ საბოლოოდ განჩინების დადგენა თქვენ ხელთ არის. მოიქეცით ისე, როგორც სამართლიანობა მოითხოვდეს და სამხრეთ აფრიკის ინტერესი."

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ცოცხალია თუ არა ანდრე? მთელი სამი წელიწადია, რაც ანდრე თავისს ჰაეროსტატით ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გაემგზავრა და მას შემდეგ აღარავისი ამბავი აღარ მოსულა იმისაგან, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ტყუილ ამბებს განგებ ან შეცდომით გავრცელებულს. მამაცის მოგზაურის მეგობართა უმრავლესობა, მათ შორის ნანსენი და მონიც, დარწმუნებულნი არიან, რომ ანდრე დაღუპულია. მაგრამ ბევრს არა სჯერა ეს ამბავი და ჰგონია, რომ ანდრე უკან დაბრუნდებაო. არა სჯერა, სხვათა შორის, ანდრეს ძმას ერნსტ ანდრესაც, რომელსაც უთქვამს: „საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩემი ძმა ცოცხალია და როგორც მე, აგრეთვე მთელ ოჯახს, იმედი გვაქვს, რომ ანდრე ამ ზაფხულს ჩრდილოეთ ამერიკაში დაბრუნდება. ჰაეროსტატით მოგზაურობა რკინის გზით მოგზაურობზედ საშიშო და სახიფათო არ არის. საშიში ამ შემთხვევაში მხოლოდ ის არის, თუ ანდრეს ჰაეროსტატი სადმე მიყრუებულს ადგილში ყინულზედ დაეშვა. ასეთ ადგილიდან ფეხით უნდა წამოსულიყო და ამას კი, სულ ცოტა, სამი წელიწადი მოუნდებოდა. რაც შეეხება საკვებს, თან იმდენი ჰქონდა ანდრეს, რაც 9 თვეს ეყოფოდა. როცა გამოელეოდა, თავს ნადირის ხორცით გამოიკვებდა". ერნსტ ანდრე ჰფიქრობს, რომ იმისი ძმა ჩრდილოეთ პოლიუსის მახლობლად დაეშვა. იქ პირველი ზამთარი გაატარა, შემდეგ სამხრეთისკენ წამოვიდა და მეორე, 1899 წლის, ზამთარიც ცივ ქვეყნებში გაატარა. წელს-კი ერნსტ ანდრეს აზრით, მოგზაურს ჩრდილოეთ ამერიკას, ეგრედ წოდებულ პრინც ალბერტის ქვეყანას უნდა მოუახლოვდესო. თუ წელს არ დაბრუნდა ანდრე, ძმასაც დაეკარგება ყოველივე იმედი იმის დაბრუნებისა.

* * *

არსად ქალაქების სანიტარულ მდგომარეობას და ჰიგიენას ისეთ ყურადღებას არ აქცევენ, როგორც იაპონიაში. ამ ბოლოს დროს უსუფთაო ქალაქს იქ ძალიან იშვიათად შეჰხვდებით თურმე. ამას წინად მკურნალებს გამოუცხადებიათ მთავრობისათვის, რომ ქალაქ ტენგანს ფორმოზში ჭაობიანი ადგილები არტყავს და ამის გამო ავადმყოფობა ხშირიაო. მაშინვე მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ქალაქი ახალ ადგილას გადაიტანონ. ამასთან ხარჯი გეგმის შედგენისა ქონების გადაზიდვისა, სახლების აგებისა, ერთის სიტყვით, ყველა ხარჯი თვით ხაზინამ იკისრა. ამას წინად უმაღლესმა მთავრობამ იაპონიაში გადასწყვიტა, ყველა ბავშვებისთვის ყვავილის აცრა სავალდებულოდ გაჰხადოს. ყმაწვილს ყვავილი სამჯერ უნდა აუცრან: ექვსის თვისას, ხუთისა და თერთმეტის წლისას.

* * *

ამას წინად ტრანსვაალის პრეზიდენტს კრიუგერს, როგორც ინგლისურ გაზეთ „Times"-ს ლორენცო-მარკეზედგან ატყობინებენ, ერთის მკითხავისათვის მიუმართავს და უთხოვინია, შემატყობინე, როდის და როგორ გათავდება ომიო. მკითხავს უთქვამს: „ზავი 13 ივნისს იქმნება დადებული. სამის თვის შემდეგ კრიუგერი გარდაიცვლება".-ო ამ წინასწარმეტყველებას ძალიან ცუდად უმოქმედნია თურმე კრიუგერზედ.

## გურული ლექსები

(გაგონილი სეფის-პირზედ და ჩაწერილი ვ. სე—ლის მიერ)

ერთს არ მოვალ გურიაში,
შენ რომ არ მეგულებოდე;
იგი დღეი ღმერთმა ნუ ჰქნას,
შენ რომ მე შეგძულებოდე.

**

ქალმა სთქვა: „ქმარი არ მინდა,
ნუ გამათხოვებ, ნენაო, *)!
თუ მიმცე, ისეთს მიმეცი,
შეეძლოს ჩემი რჩენაო".

**

მოვიკვტები შენს კალთაში,
მასვი შენი ხელით წყალი;
ამას მაინც გათქმევინებ:
„ჩემთვის მოკვტა, ეს საწყალი!"

**

სათამაშო ვაშლი მქონდა,
შენსკენ გადმოვიგდეა,
ჩემს მეტი თუ ვინმე გიყვარს,
ფესვიც ამოგივარდეა.

**

თეთრი ქალი ბრინჯს არჩევს,
შავი ქალი—სამარხვოს;
თეთრმა ქალმა გვიტიროს,
შავმა ქალმა დაგვმარხოს.

**

ეწერში კახა-ბალები,
ზედ შეყურული ქალები,
ზოგს აცვია წალა-წუღა;
ზოგს აცვია ქალამნები;
ზოგს მოჰკტომია ქმარები,
ზოგს საყვარელი ძმანები.

**

ნენამ კაბა შემიკერა
წელში გამოჭირებული,
ჩემი ტოლები გათხოვდენ,
მე დავრჩი გაჭივრებული.

**

არ მაქვს ფული, არ მაქვს ნდობა,
მომიწია სალდათობა;
მე იქინე ვერ დავწობ,
სადაც სალდათები წობა;
მე იქაურს ვერაფერს ვჭამ,
სადაც შავი პური ცხობა.
მე იქინე უნდა დავწვე,
სადაც ლამაზები წობა;
მე პური იქ უნდა ვჭამო,
სადაც ხაჭაპური ცხობა.

**

სანამ მქონდა ფულები,
ვჭამე ხაჭაპურები;
როცა შემომელია,
ჩამოვყარე ყურები.

**

დალიე, დამალევინე,
მერმე მოხვალ გონებას;
ქეიფობა მირჩევნია
მილიონის ქონებას.

**

ნეტა რა არის მისთანა
ამომავალი მზისთანა,
სახტარი გელათისთანა,
ნეფე თამარ ქალისთანა.

## გამოსადეგი ცნობა

ხორცისა და რძის შენახვა.

როგორ უნდა შეინახოთ ხორცი ისე, რომ სუნი არ დაეცეს, განსაკუთრებით ზაფხულში და ისეთს ადგილას, სადაც საყინულეები არ არის და ყოველ დღე-კი ხორცის შოვნა შეუძლებელია? ამისათვის სულ უბრალო საშუალებაა. ეს საშუალება მეტად გავრცელებულია ეგრედ წოდებულს ზემო საოხაში. უნდა აიღოთ ხორცი, ჩასდოთ თიხის ქილაში და დაასხათ რძე, რომელიც მაშინვე დამჟავდება, აიჭრება. ქილას გრილ ადგილას, სარდაფში დასდგამთ, მაგრამ ეს არ უნდა დაივიწყოთ, რომ ხორცს რძე უთუოდ თავზედ მოადგეს.

ამ რიგად შენახულს ხორცს მთელის კვირის განმავლობაში სუნი არ დაეცემა და არც გემო გამოეცვლება; მოხარშვის წინად ხორცი ლამაზად უნდა გაირეცხოს სუფთა წყლითა და მერე ტილოთი გამშრალდეს. აჭრილის რძით ანუ შრატით ზემო საონაში მერე დორებს ასუქებენ, ასე რომ არც ეს არის დაკარგული და გამოუსადეგარი. აღნიშნული საშუალება გამოცდილებით არის შექმნილი და სრულიად ეთანხმება იმ სამეცნიერო დაკვირვებას, რომ ხორცის წამხდენი ბაქტერიები მჟავე სითხეში თავისს სასიცოცხლო ძალას ვერ იჩენენ, ვერ ვითარდებიან და იხოცებიან.

რძის შესანახადაც სულ უბრალო საშუალებაა. თუ გსურთ რძე რამდენსამე დღეს შეინახოთ, განსაკუთრებით ზაფხულში, როდესაც რძე ხშირად დილიდგან საღამომდის ვერა სძლებს და იჭრება, უნდა აიღოთ რამდენიმე ფოთოლი ხარდალი, ჩაუშვათ რძეში და ისე შეინახოთ. თუ რძე კარგი იყო, წყალ-შეურეველი, რამდენსამე დღეს შეინახება და არ აიჭრება.

## წერილები რედაქციის მიმართ

—

მადლობას ვუცხადებ მარტყოფ-იორის განყოფილების ტყის უფროსს ბ-ნს ვიქტორ ივანეს ძე კასანიაკს, რომელმაც პატარძეულის წიგნთსაცავ-სამკითხველოს შემოსწირა ექვსი ქართული წიგნი და ხუთი რუსული სხვა-და-სხვა ჟურნალი.

პავლე ყუშიტაშვილი

—

დიდს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც შემოსწირეს ფული და მასალა თავ-შესაფარის ასაშენებლად წმ. გიორგის ეკკლესიასთან ს. ქოდალოში, სადაც მლოცავნი დიდს გაჭირვებაში არიან დღეობის დროს თავ-შესაფარის უქონლობისა გამო. აი სიაც შემომწირველთა:

დავით ჯილაევმა 2 მან., ბეგლარ აკოფოვმა 1 მან., სარქის აკოფოვმა 1 მან., მალხაზ აკოფოვმა 2 მან., გეურქ აკოფოვმა 1 მან., სერგო გალუსტოვმა 50 კაპ., არტემ სარქისას ძე აკოფოვმა 1 მან., ეკატერინე, შუშანიკა, ანნა და ივანე აკოფოვებმა 1 მან., ეკატერინე აკოფოვისამ 1 მან., თალიკო აკოფოვისამ 1 მან., ეკატერინე ჯილაევისამ 1 მან., მანანა სააკოვისამ 40 კაპ., ოლღა აკოფოვისამ 20 კაპ., იაგორა აკოფოვმა მოტანით 5000 კრამიტი, გიორგი სულთნიშვილმა 1 მან., სოფიო წატუროვისამ 1 მან., არშაკა ხაჩატუროვმა 1 მან., ყაზარ ვართანოვმა მოტანით 500 აგური, სარქის ხარაზიშვილმა მოტანით 100 აგური, სანდრო მჭედლოვმა 20 კაპ., საქულ სვიმონოვმა 50 კაპ., საქულ ხარაზიშვილმა 40 კაპ., თამაზ ჯანყოშვილმა 1 მან., ლევან შანშიაშვილმა 30 კაპ., საქულ ტერტეროვმა 40 კაპ. და საქულ პოღოსოვმა 50 კაპ. სულ 19 მან. 40 კაპ. *)

ს. ქოდალოს მღვდელი აპოლლონ გოდერძიშვილი

—

უგულითადესს მადლობას ვუძღვნი ბ-ნთ იოსებ ლეჟავასა და თეოფილე გაბრიელის ძე ბოლქვაძეს, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულს საეკკლესიო-სამრევლო სკოლას პირველმა—ძველისა და ახალის აღთქმის სურათები სრულიად, ხოლო მეორემ—ჟურნალი „ჯეჯილი" 1899—1900 წლებისა.

აგრეთვე მადლობას ვუცხადებ მღვდელს მამა იესე ინგოროყვას და ბ-ნთ სერგია ანტონის ძე თავაძეს, ხალამპრე ბეჟანის ძე ლომაძეს და რაჟდენ ცერცვაძეს, რომელთაც დაუკვეთეს სკოლას „ივერია" და „კვალი".

სამღვთოის სკოლის მასწავლებელი გერასიმე ნაკაიძე

*) ამ შემოწირულებაში ფული მიღებულია, ხოლო მასალას დაპირებულნი არიან. როცა შენებას შევუდგებით, თითონვე უნდა მოგვიტანონ პირობისამებრ.

*) დედაო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 მაისი.

**პეტერბურგი.** „მთავრობის უწყების" საღამოს დამატებაში შავის ჭირის წინააღმდეგ კომისიისაგან დაბეჭდილია შემდეგი: „კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა აცნობა კომისიას ფილტვების ანთების ავადმყოფობის გაჩენის შესახებ შავის ქვის მადნების მუშათა შორის ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფელ ჭიათურაში, სადაც 12000 მცხოვრებია. აცნობებს რა ამ სენის მოსასპობად მიღებულ ზომების შესახებ, გენერალი ფრეზე სთხოვს კომისიას გაგზავნილ იქმნას კავკასიაში საჭირო მასალა. კომისიამ მოიწონა განკარგულებანი კავკასიის უმაღლეს მთავრობისა, დაადგინა გადადებულ იქმნას საჭირო თანხა სენის წინააღმდეგ საბრძოლველად და მიანდოს გენერალ ფრეზეს იზრუნოს ჭიათურაში გავრცელებულ ავადმყოფობის დაუყოვნებლივ გამოკვლევისათვის. ეხლა გენერალი ფრეზე დეპეშით იუწყება, რომ როგორც ჭიათურაში გაგზავნილ კავკასიის საოლქო სამხედრო სამკურნალო ლაბორატორიის ასისტენტის, მკურნალის გოლოვკოვის, მოხსენებიდგანა სჩანს, 11 მაისიდგან ავად გამხდარა პნევმონიით სულ 15 კაცი; ამათგან გარდაცვლილა ოთხი კაცი. იგივე მოხსენება იუწყება, რომ როგორც ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, ეს სენი შავი ჭირი არ არისო".

**კიევი.** საერო განათლების მინისტრმა ინახულა სასწავლებლები. მინისტრი ჟიტომირში წავა, ხოლო იქიდგან—როვენის მაზრაში.

**ხარკოვი.** დაიწყო კრება საქალაქო ბანკების წარმომადგენელთა. სულ 50 წარმომადგენელი მოვიდა. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ორლოვი.

**მოსკოვი.** ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ბეზაკი და კუდრიავცევი, რომელთაც საეჭვო ხასიათის კანტორა დააარსეს, დამნაშავედ სცნო 63 ბოროტ-მოქმედებაში. სასამართლომ მიუსაჯა: ბეზაკს—ერთის წლით საპყრობილეში დაპატიმრება, ხოლო კუდრიავცევს—ყოველისავე განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და ერთის წლითვე საპყრობილეში დაპატიმრება.

ეს ორი დღეა, რაც მოსკოვი უწყლოდა. როგორც აღმოჩნდა, გაფუჭებულა წყლის ორივე მილი. ერთი ბოჭკა წყალი 25 მანეთამდე ადის, ხოლო ვედრო—ერთ მანეთამდე. ინჟინერები და 200 მუშა შეუდგნენ მილის შეკეთებას.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება ვერესნიგინიდგან: „14 მაისს დილით გადავედით ვაალს; ლავბანაკეთ მდინარის ჩრდილოეთით. ჩვენის მხრივ სამია დაჭრილი; ამას გარდა ორი კაცი გვაკლია. ბადენ

პოული იუწყება, რომ რკინის გზა ბულუვაისა და მეფკინგს შუა აღდგენილ იქმნა. სურსათი მოგვდისო“.

**ბრიუსელი.** არჩევანების შედეგი: პალატაში ახალის არჩევანებით მთავრობის მომხრენი უმრავლესობას შეადგენენ.

**ბერლინი.** მათის უდიდებულესობის გვირგვინის კურთხევის დღეს გარდახდილ იქმნა რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში წირვა. შემდეგ საელჩოში გამართულ იქმნა საუზმე, რომელზედაც ელჩმა მათის უდიდებულესობის სადღეგრძელო წარმოსთქვა.

**იოკოჰამა.** კორეის მოხელედ ნამყოფმა წამების დროს დაასახელა ისინი, ვინც კორეის დედოფლის მოკვლაში მონაწილეობა მიიღეს. ზოგნი დაპატიმრებულ იქმნენ.

**ტიანცძინი.** წარსულ ღამეს „დიდის მუშტის“ სექტამ გადასწვა სადგური ლიუიილიტო, პეკინიდგან 29 მილის მანძილზედ. რკინის გზის ლიანდაგი დაქცეულ იქმნა, ბევრი ვაგონი განადგურებულია; ჩინეთის რამდენიმე მოხელე მოკლულ იქმნა. ფენგტაიში მყოფი ბელგიელი ინჟინერები უშიშარ მდგომარეობაში არიან. „დიდის მუშტის“ რაზმები პეკინში მიდიან. ფენგტაეში დღეს „დიდის მუშტის“ რაზმს მოელიან. მატარებლების მიმოსვლა რკინის გზაზედ პეკინსა და ტიანცძინს შორის შეჩერებულია. ამერიკის კრეისერი და საფრანგეთის სამხედრო გემი ტაკუში მოვიდნენ.

**ლონდონი.** სენეკალიდგან იუწყებიან, რომ რენდლმა არტილერიითა და ქვეითა რაზმით დაიჭირა სენეკალი და განდევნა იქიდგან ბურები ერთი ფელდ-კორნეტი და რამდენიმე ბური მოკლულია. ინგლისელებმა 11 კაცი დაჰკარგესო.

16 მაისი

**კაპშტადტი.** ფრენჩი იოჰანესბურგში მივიდა.

**ლონდონი.** პალატა. ბალფურმა განაცხადა, რომ ცნობები არა მაქვს იმის შესახებ, ვითომც ტრანსვაალთან სამშვიდობო მოლაპარაკება იყვეს გამართული და ტყვედ წაყვანილ ინგლისელებს ცუდად ეპყრობოდნენო. პრეტორიაში მოლაპარაკებაა ტყვეების გაცვლის შესახებო. ვინდგემმა განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკაში 221,000 კაცი გვყავს; ინგლისიდგან 120,730 მუდმივი ჯარისკაცი და რეზერვები და 77,000 მილიციაო. რედმონდის კითხვა: „მართალია თუ არა, რომ ბურები იბრძვიან ერთი ათის წინააღმდეგო“, უპასუხოდ დარჩა. პალატამ, ცოტაოდენ კამათის შემდეგ, შეიწყნარა კანონპროექტი თავისუფალ მხედართა შესახებ. სამხედრო მინისტრმა რეზერვების შესახებ არსებულ კანონის დასამატებელი პროექტი წარადგინა. პროექტი შეწყნარებულ იქმნა პირველ წაკითხვისთანავე. პალატა დათხოვნილ იქმნა 5 ივლისამდე.

**პარიჟი.** პალატა. დიდ-ძალი ხალხია. გრაფი კასტელანი შეეკითხა მთავრობას რეინაკის განცხადების გამო დრეიფუსის საქმის განახლების შესახებ. პალატამ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ განეხილა ეს საგანი. გალიფემ განიმეორა ის, რაც სენატში სთქვა ტომპსისა და კაპიტან ფრიშის გამო და დასძინა: „გადაწყვეტილი იყო, დრეიფუსის საქმეს აღარ დავბრუნებოდით, ამისათვის ვწუხვარ, რომ ფრიშმა ვერ შეინახა საიდუმლო და ზოგიერთების სურვილს აჰყვაო“. გალიფეს იმედი აქვს, რომ ჯარი ყურადღებას არ მიაქცევს იმათ, რომელნიც უქადაგებენ მას წეს რიგი დაარღვიეო, და არ აჰყვება ბედის მაძიებლს, როგორც 15 წლის წინად. (მემარცხენეების მხრივ გაცხარებული ტაშის ცემაა, ნაციონალისტები წინააღმდეგობას აცხადებენ). კასტელანი ამტკიცებდა, რომ მთავრობა თანამოზიარეა შეთქმულობისა, რომელიც იმ აზრით უნდა მოახდინონ, რათა მოღალატის სახელი აღადგინონო. ლეგერისემ მართლება დაუწყო ფრიშის საქციელს და იკითხა, რატომ იმას არ სდევნიან თანამოზიარესთან ერთადაო. მან უსაყვედურა ვალდეკს, რომ ვერ ბედავს თავიდგან მოიშოროს აგენტი ტომპსიო (ხმაურობაა). გალიფემ სთქვა, სხვათა შორის, რომ, ვიდრე მინისტრად ვარ, დრეიფუსის საქმე არ განახლდებაო (ტაშის ცემაა). ალფონს ემბერი: დრეიფუსის საქმე განახლდებაო (ტაშის ცემაა). ის ამტკიცებდა, რომ საიდუმლო მოხელენი სცდილობდნენ ეშოვნათ საბუთის ქაღალდები, რათა დრეიფუსის საქმე განახლებულიყო, თუმცა ვალდეკი ამის წინააღმდეგს ამტკიცებდა სენატშიო. ვალდეკმა უპასუხა, რომ მთავრობა უარ-ჰყოფდა რეინაკის სიტყვებს, რადგან მისი სიტყვები სრულიად ეწინააღმდეგებოდა მისსავე შეხედულობასო. ვალდეკმა წაიკითხა ტომპსის წერილი და დასძინა: ერთი აგენტი, რომელიც მეორე ბიუროში დარჩა, შეუდგა უკვე ცნობილს მოქმედებას, თუმცა ამგვარ მოქმედების წინააღმდეგ განკარგულება არსებობდა, და ეხლა ეფექტის მოსახდენად ტომპსის წერილები გასცაო (მემარცხენენი ტაშსა სცემენ; მემარჯვენენი და ნაციონალისტები ჰყვირიან და წინააღმდეგობას აცხადებენ). დეპუტატების უმრავლესობა ფეხზე წამოდგა დეშანელი ზარს არაწკუნებდა, მაგრამ ვერას გახდა. გალიფე უქეიფოდ შეიქმნა და გარეთ გავიდა. ნაციონალისტებმა სიმღერა დაიწყეს. მემარცხენეებმა ტაშის ცემა ასტეხეს ვალდეკის პატივსაცემლად. სოციალისტებმა და რადიკალებმა მხრისხანედ დაუწყეს ყურება მემარჯვენეთ, შემდეგ დაშწკრივდნენ უმწვერვალეს მემარცხენეთა სავარძლების წინ, ტაში დაუკრავს ვალდეკს და დაიძახეს „გაუმარჯოს რესპუბლიკასო!“ დეშანელმა კრება შესწყვიტა და ბრძანება გასცა ტრიბუნები დაეცალათ. კრების განახლებისათანავე, საღამოს 7 საათზე, ვალდეკმა წინააღმდეგობა განაცხადა იმ ცილის წამების გამო, ვითომც ის წინააღმდეგი ყოფილიყოს, გალიფესი, რომელიც ჯარს აქებდა. კამათი დასრულდა. რამდენიმე წინადადება იქმნა წარმოსთქმული მორიგ საქმეებზე გადასვლის შესახებ. ვალდეკი თანახმა გახდა ლეონ ბურჟუას წინადებისა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ პალატა, იწონებს რა მთავრობის მოქმედებას დარწმუნებულია რა, ჯარი ერთგულია საფრანგეთის და რესპუბლიკისაო, უბრუნდება მორიგს საქმეებსაო. ბურჟუას წინადადების პირველი ნაწილი ერთხმად შეწყნარებულ იქმნა.

**პარიზი.** მკურნალმა, რომელიც გალიფეს სწამლობს, განაცხადა, რომ მისთვის საშიშია პალატაში კრებებს დაესწროსო. ხვალ, მინისტრთა კრების შემდეგ, რომელსაცა ლუბე უნდა თავმჯდომარეობდეს, ნამდვილად გაიგება, თუ რა აზრს ადგია გალიფე. როგორც ხმა დადის, კაპიტან ფრიშს სეკუნდანტები გაუგზავნია ვალდეკისათვის. პალატის კრების შეწყვეტის დროს დელკასეს თათბირი ჰქონდა გალიფესთან სამხედრო სამინისტროში. გალიფეს ჯერ თავი არ დაუნებებია სამსახურისათვის. ჰფიქრობენ, რომ კიდეც რომ ჰქონდეს ეს აზრად პალატის გადაწყვეტილება და ის ღონისძიებანი, რომელნიც უთუოდ იქმნება ამის გამო მიღებული, გავლენას იქონიებს და ასეთს განზრახვაზე ხელს აიღებინებსო.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

23 მაისი

საქმე ვლადიმირ კემულარიასი, რომელსაც სასჯ. დებულ. მე-1531 მუხ. აღნიშნული დანაშაული ედება ბრალად.

რეჯაბ კუთელიასი, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ბრალდება.

ამას გარდა განხილულ იქმნება თორმეტი იმათი საქმე, რომელთაც ნებადაურთველად არაყის გამოხდა ჰბრალდებათ გორის მაზრაში, სახელდობრ საქმენი:

თავ. იაკობ მაჩაბლისა.
იოსებ და ნიკო მარძანიძეებისა.
გიორგი გურასპაშვილისა.
მართა ზაუთაშვილისა.
ელისაბედ არდემონაშვილისა.
სალომე ბუზალაძისა.
გიგო კოჰაშვილისა.
სიმონ მახარაძისა.
სოფიო გიგოლაშვილისა.
იობი ბეტეშვილისა.
მარიამ ცხოვრებაშვილისა.
გოზაშვილისა და ბოშაშვილისა.


# განცხადებანი

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. მატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ზ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—საფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის მეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

## ჰიგიენური

ბორნო-ცტიმოლის საპონი

პროვიზორის

## გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმაროთ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., $^1/_2$ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—8)

ამა 1900 წლის 1 სექტემბრისათვის ტფილისის ქალაქის გამგეობას ხუთი სადგომი სჭირდება ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებისათვის 1, 4, 5, 7 და 10 ნაწილებში. თვითოული სადგომი უნდა შეიცავდეს შვიდ ნათელ და მაღალ ოთახს, ამათგან სამი დიდი ოთახი კლასებისათვის; სიგრძე ამ ოთახებს 14 არშინამდე უნდა ჰქონდეს, სიგანე 7 არშინზედ არა ნაკლები. დანარჩენი ოთახები ჩვეულებრივ ზომისა უნდა იყოს. ამასთან სადგომს უნდა ჰქონდეს ეზო და საჭირო მოწყობილებანი.

ვისაც ჰსურს გააქირაოს ასეთი სადგომი, სთხოვენ მიჰმართოს თავისს პირობებით ქალაქის გამგეობას ამა წლის პირველ ივნისამდე.

(3—6.—3)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




## ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

## „კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა — 2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. საათფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის საათფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—99)

*Отъ конторы газеты*

## „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

Изданіе газеты „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“ будетъ возобновлено

## СЪ 18-ГО АВГУСТА НАСТОЯЩАГО ГОДА.

Подписчики прошлаго года, непожелавшіе взять обратно оставшіяся за конторой деньги, будутъ получать газету БЕЗЪ ДОПЛАТЫ съ 18-го августа по 1-е октября. Тѣ изъ нихъ, которые пожелаютъ получать газету и затѣмъ, съ 1-го октября по 1-е января 1901 г, доплачиваютъ 2 руб. 50 коп. Новые же подписчики за время съ 18-го августа по 1-е января 1901 года платятъ 3 руб. 50 к. Подписчики прошлаго года, въ случаѣ перемѣны адреса за время до 18-го августа, сообщаютъ о томъ заблаговременно въ контору „Нов. Об.“, причемъ особой доплаты за перемѣну адреса не вносятъ.

**Для пріема подписки и объявленій контора (Барятинская, д. кн. Тумановыхъ) открыта по вторникамъ и пятницамъ, отъ 6 до 7 час. вечера.**

(3—უ—1)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го Мая 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე